დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი № 10

ქ. დმანისი 19 ივლისი 2019 წელი

სხდომის თავმჯდომარე დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე **მერაბი ოქრიაშვილი**
სხდომას აგრეთვე ესწრებოდა: დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი თემურ ტატულაშვილი , დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი ლევან მანთაშაშვილი, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებალი თინათინ ციხელაშვილი
სხდომის მდივანი: ლომა გადრანი
სხდომა დაიწყო: 12. 00
სხდომა დასრულდა: 12. 30
დღის წესრიგი:

1	**დადგენილება:** ,,დმანისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №51 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
მომხსენებელი:	**თ. ტატულაშვილი**

2	**განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად საწვავის ხარჯის ყოველთვიური ლიმიტის განსაზღვრის შესახებ
მომხსენებელი:	**ს. ასლამაზაშვილი**

3	**განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტის 2019-2021 წლების სამოქმედო გეგმისა და 2019 წელს დმანისის მუნიციპალიტეტში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან და ადგილობრივი ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი პროექტების მოწონების თაობაზე'' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №50 08 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ
მომხსენებელი:	**ლ. მანთაშაშვილი**

4	**განკარგულება:** ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დმანისის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხის განაწილების შესახებ''დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 7 მარტის №13 08 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
მომხსენებელი:	**ლ. მანთაშაშვილი**

5	**განკარგულება:** ,,დმანისის მუნიციპალიტეტის ქონების 2019 წლის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ'' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 07 მარტის №14 08 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
მომხსენებელი:	**გ. ციხელაშვილი**

6	**განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ უძრავი ქონების (

	მიცემის შესახებ
	მომხსენებელი: **გ. ციხელაშვილი**
7	**განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ უძრავი ქონების (სასოფლო-სამეურნეო) დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით გაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ
	მომხსენებელი: **გ. ციხელაშვილი**
8	**განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ქონების ააიპ ,,დმანისის მუნიციპალიტეტის კომუნალური სამსახურისათვის " უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ
	მომხსენებელი: **გ. ციხელაშვილი**
9	**განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ შპს ,,მაგთიკომისათვის" ააიპ ,,დმანისის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის" შენობის სახურავზე ფართის იჯარით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ
	მომხსენებელი: **გ. ციხელაშვილი**
10	**განკარგულება:** „დმანისის მუნიციპალიტეტში ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის" მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების თაობაზე
	მომხსენებელი: **კ. პეტრიაშვილი**

1.მომახსენებელი : **თემურ ტატულაშვილმა** საკრებულოს წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი ,,დმანისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №51 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე , აღნიშნულ ცვლილებებს წარმოადგენს შემდეგი:

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 10 ივლისის #1593 განკარგულებით „ჯანმრთველობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის #554 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" დმანისის მუნიციპალიტეტს გამოეყო დანართი #24-ში მითითებული პროექტების განხორციელებისათვის 627580ლარი, ნაცვლად 385580 ლარის ანუ სხვაობა შეადგენს 242000ლარს,რაც ასახული იქნა გადასახდელების ორგანიზაციულ კოდში 030202 „ბინათმშენებლობის"არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში-242,0 ათასი ლარის ოდენობით.

2019 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული საკუთარი შემოსავლებიდან კერძოდ, სხვა შემოსავლების კოდით გათვალისწინებული 1595,0 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვროს 2525,0 ათსი ლარის ოდენობით და აღნიშნული სხვაობა 930,0 ათასი ლარი,რომელიც გადახდილი იქნა RMG-Gold-ის მიერ მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის ჭარბი ოდენობით, მიემართოს კეთილმოწყობის ღონისძიებებში და გარე განათების მოწყობაზე.

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 ივნისის #35 08 განკარგულების საფუძველზე ადგილობრივი ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების ცვლილებებთან დაკავშირებით შეტანილი იქნა ცვლილება დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 ივნისის #9 დადგენილებით დამტკიცებულ ბიუჯეტში, შემდეგ ორგანიზაციულ კოდზე:

-მე-17 მუხლით დამტკიცებული ასიგნებები ორგანიზაციული კოდი 0301 „საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვის" არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 3740.1 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვროს 2890.1 ათასი ლარის ოდენობით.

-მე-17 მუხლით დამტკიცებული ასიგნებები ორგანიზაციული კოდი 030301 „მუნიციპალიტეტის

-მე-17 მუხლით დამტკიცებული ასიგნებები ორგანიზაციული კოდი 030203 „გარე განათების მოწყობა,რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის“ არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 563.1 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვროს 621.1 ათასი ლარის ოდენობით.

ამრიგად, დმანისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსულობები და გადასახდელების მოცულობა განისაზღვრა 19820.3 ათასი ლარის ოდენობით.

აზრი გამოთქვეს: ლევან მოსეშვილმა.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მომხრე: 19

წინაღმდეგი: 2

2. **მომხსენებელი: სოფიო ასლამაზაშვილმა** საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად საწვავის ხარჯის ყოველთვიური ლიმიტის განსაზღვრის შესახებ

მიზანშეწონილად მიიჩნევა განისაზღვროს დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირების მიერ, სამსახურებრივი უფლება-მოვალეობების შესრულებისა და საკრებულოს ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის საწვავის (ბენზინი, პრემიუმი) ყოველთვიური ლიმიტი შემდეგი ოდენობით:

ა) საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე- 40 ლიტრი;

ბ) საკრებულოს კომისიები (თავმჯდომარეები) - 40 ლიტრი თითოეულს.

გ) საკრებულოს ფრაქციები (თავმჯდომარეები, მოადგილეები) - 40 ლიტრი თითოეულს;

1. საკრებულოს სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების მიზნით, განსაკუთრებული გარემოებების არსებობის შემთხვევაში, ყოველთვიურად შეძენილი იქნას დამატებით (სარეზერვოდ) 150 ლიტრი საწვავი, აქედან 100 ლიტრი ბენზინი (პრემიუმი), 50 ლიტრი დიზელი (ევროდიზელი).
2. დამტკიცდეს საწვავის ტალონების მიღება-ჩაბარების აქტის ფორმა (დანართი №1) და საწვავის ჩამოწერის აქტი (დანართი №2).
3. საწვავის გაცემის დადასტურება მოხდეს, ორმხრივად, საკრებულოს საწვავის მიღებასა და გაცემაზე განსაზღვრული პასუხისმგებელი პირისა და საწვავის მიმღების მიერ ყოველთვიურად, საწვავის ტალონების მიღება-ჩაბარების აქტებსა და საწვავის ჩამოწერის აქტებზე ხელმოწერით.
4. საკრებულოს საწვავის მიღება-გაცემაზე საწვავის მომწოდებელ კომპანიასა და საწვავის მიმღებთა შორის პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე - სოფიო ასლამაზაშვილი.

აზრი გამოთქვეს: 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 21

წინაღმდეგი: 0

3. **მომხსენებელი: ლევან მანთაშაშვილმა** საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის 2019-2021 წლების სამოქმედო გეგმისა და 2019 წელს დმანისის მუნიციპალიტეტში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან და ადგილობრივი ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი პროექტების მოწონების თაობაზე'' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №50 08 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

დმანისის მუნიციპალიტეტში 2019 წელს ადგილობრივი ბიუჯეტით განსახორციელებელ პროექტებში შევიდა ცვლილება; პროექტების დაფინანსება გაზრდილია 930000 ლარით.

სოფ; ზემო კარაბულახის შიდა გზების რეაბილიტაცია, ქ. დმანისში ქუჩების მოასფალტება, სოფ; დიდ დმანისში და სოფ; ვარდისუბანში რ/ბ არხების მოწყობის სამუშაოებს დაემატა 56000 ლარი.

სოფელ მაშავერაში მინი სტადიონისა და სკვერის მოწყობა, სოფელ ჯავახში მინი სტადიონისა და სკვერის მოწყობა, სოფ. ბოსლების მინი სტადიონის მოწყობა,შემოღობვა, წმინიდა ნინოს ქუჩაზე მდებარე

მინი სტადიონის მშენებლობა, სოფ. გომარეთში კულტურის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე სკვერისა და მინი სტადიონის მოწყობა, ქ. დმანისში 9 აპრილისა და ჩოლოყაშვილის ქუჩების კვეტასთან მინი სტადიონის და სკვერის მოწყობა. ქ. დმანისში საზოგადოებრივი საპირფარეშოების მოწყობა და რეაბილიტაციის პუნქტს დაემატა 816000 ლარი.

ქ. დმანისში და დმანისის მუნიციპალიტეტის სოფლებში გარე განათების მოწყობას დაემატა 58000 ლარი.

აზრი გამოთქვეს: 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 19

წინაღმდეგი: 2

4. **მომხსენებელი: ლევან მანთაშაშვილმა** საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დმანისის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხის განაწილების შესახებ''დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 7 მარტის №13 08 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

სოფლის მხარდაჭერი პროგრამით განსახორციელებელ პროექტების ნუსხაში შევიდა ცვლილება; საპროექტოსახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დაზუსტების შემდგომ შეიცვალა ღირებულება ზემო კარაბულახში არსებული მეორე ხარისხოვანი გზის მოხრეშვა 30000 ლარის ნაცვლად 26900 ლარი. ზემო კარაბულახში ერთ ერთ ქუჩაზე მილხიდის მოწყობა 2000 ლარის ნაცვლად 5100 ლარი

სოფ; იაღუფლოში სასმელი წყლის რეაბილიტაცია ვერ ხორციელდება და აღნიშნული სამუშაოებისთვის გათვალისწინებული თანხაგადატანილი იქნა სოფ; იაღუფლოს გარე განათების მოსაწყობად.

აზრი გამოთქვეს: 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 19

წინაღმდეგი: 2

5. **მომხსენებელი: გ. ციხელაშვილმა** საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ,,დმანისის მუნიციპალიტეტის ქონების 2019 წლის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ'' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 07 მარტის №14 08 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

შევიდეს ცვლილება ,,დმანისის მუნიციპალიტეტის ქონების 2019 წლის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ'' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 07 მარტის №14 08 განკარგულებაში დანართის შესაბამისად

აზრი გამოთქვეს: 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 21

წინაღმდეგი:

6. **მომხსენებელი: გოგი ციხელაშვილმა** საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ უძრავი ქონების (სასოფლო-სამეურნეო) დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, აღნაგობით სარგებლობის უფლებით გაცემის თაობაზე 49 წლის ვადით, დმანისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს.კ 82.13.42.517 (სახნავი), დაზუსტებული ფართობი 48500,00 კვ.მ. და საიჯარო ქირად განისაზღვროს 242.50 (ორასორმოცდაორი ლარი 50 თეთრი) ლარი წელიწადში.

აზრი გამოთქვეს: 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 21

7. **მომხსენებელი: გ. ციხელაშვილმა** საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ უძრავი ქონების (სასოფლო-სამეურნეო) დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით ორი წლის ვადით, დმანისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს.კ 82.17.41.033 (საძოვარი), დაზუსტებული ფართობი 2000000,00 კვ.მ. და საიჯარო ქირად განისაზღვროს 7279.99 (შვიდიათასორასსამოცდაცხრამეტი ლარი 99 თეთრი) ლარი წელიწადში.

აზრი გამოთქვეს: 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 21

წინააღმდეგი: 0

8. **მომხსენებელი: გ. ციხელაშვილმა** საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ქონების ააიპ ,,დმანისის მუნიციპალიტეტის კომუნალური სამსახურისათვის " უსასყიდლოდ თხოვების ფორმით, დმანისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ ააიპ ,,დმანისის მუნიციპალიტეტის კომუნალურ სამსახურს", მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული 200 (ორასი) ცალი პლასტმასის ნაგავშემკრები კონტეინერი (1100 ლიტრიანი), საბალანსო ღირებულებით სულ ჯამში 110636, 00 (ასათიათასექვსასოცდათექვსმეტი) ლარი.

აზრი გამოთქვეს:

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 21

წინააღმდეგი: 0

9. **მომხსენებელი: გოგი ციხელაშვილმა** საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ შპს ,,მაგთიკომისათვის" ააიპ ,,დმანისის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის" შენობის სახურავზე ფართის 3,00 კვ.მ სარგებლობის უფლებით, იჯარით, 5(ხუთი) წლის ვადით გადაცემის თაობაზე და საიჯარო ქირის საფასურის ოდენობა განისაზღვროს 300,00 (სამასი) ლარი თვეში (3600 ლარი წელიწადში).

აზრი გამოთქვეს: 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 21

წინააღმდეგი: 0

10. **მომხსენებელი: კახა პეტრიაშვილმა** საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „დმანისის მუნიციპალიტეტში ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის" მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების თაობაზე

„დმანისის მუნიციპალიტეტში ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის" ანგარიშის შესახებ მოგახსენებთ რომ კომისიამ საანგარიშო პერიოდში განიხილა 47 განცხადება, დაკმაყოფილდა 2 მოთხოვნა არ დაკმაყოფილადა 40, ხუთი განცხადება განხილვის პროცესშია.

გადაწყვიტეს: ცნობად იქნეს მიღებული ,,დმანისის მუნიციპალიტეტში ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის" მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში.

საკრებულოს თავმჯდომარე **მერაბ ოქრიაშვილი**